

განმარტებითი ბარათი

მოცემული პროექტი წარმოადგენს ქ. ახალციხე 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე არსებულ სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრს .

წარმოდგენილია შენობის ავტომატური ხანძარქრობის სპრინკლერული სისტემის პროექტი. პროექტი შესრულებულია საქართველოს მთავრობის 41 დადგენილების შესაბამისად, NFPA 13 სტანდარტების , ნორმებისა და წესების მოთხოვნათა მიხედვით.

პროექტის კრიტერიუმს წარმოადგენს ადამიანების და მატერიალური ფასეულებათა დაცვა ხანძრისაგან, სერთიფიცირებული მასალა-მოწყობილობების გამოყენება ქრობისა და სიგნალიზაციის მონიტორინგის განხორციელება, რამაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიღება ხანძრის კერის გაჩენის, სისტემის ჩართვის და სხვათა შესახებ. არსებულ პროექტში სპრიკლერების საერთო რაოდენობა 100 ცალი. თითოეულ სართულს ემსახურება წყალ-სასიგნალო სარკველი. ყველა სართულზე მონტაჟდება ნაკადის რელე, თავისი ტესტირების კვანძით, სპრინკლერების ტესტირების კვანძი და სისტემის დამცლელი (გამრეცხი) კვანძი.

ხანძარქრობისათვის საჭირო ხარჯი გათვლილია შემდეგი ანგარიშით:

საპროექტო შენობა მიეკუთვნება - Light Hazard Group (NFPA)

დაცული ფართი - 140მ² (NFPA)

სპრინკლერების მუშაობის ხარჯი 140 კვადრატზე (54 მ3/სთ).

ხანძარქრობის დროდ აღებულია ერთი საათი. წყლის ამ მარაგის მიწოდებას სპრინკლერების და ჰიდრანტების ქსელში აწარმოებს ავტომატური სატუმბო სადგური, რომელიც დამონტაჟებულია გამოყოფილ ტექნიკურ სათავსში 0.00 ნიშნულზე (იხ.გეგმაზე), ჩატარებული ანგარიშების მონაცემების მიხედვით, პროექტში გამოყენებულია შემდეგი მოწყობილობა-დანადგარები:

სახანძრო სისტემის მაღალწნევიანი სატუმბო სადგურის კომპლექტი, ლითონის მოდულით, ჰორიზონტალური საყრდენი ძირით, მრავალსაფეხურიანი ძრავებით, გამაფართოებელი ავზით, მართვის ბლოკით, ვენტილებით, უკუსარკველებით, სამონტაჟო კომპლექტით. Q=54 მ3/სთ, H=40 მ. მთავარი ძრავი, სარეზერვო ძრავი ჟოკეი ძრავი (DIN 4807; ISO 9001; ISO14001; EN12845; სტანდარტების შესაბამისი).

სახანძრო ავზი 54 მ3 (6*3*3).

წყალსასიგნალო სარკველი DN 80 კომპლექტი.

ნაკადის რელე DN 80 კომპლექტი.

ელექტროკონტაქტური მანომეტრი რეგულირებადი ჩამრთველით (5-15ბარი) ,

სადისპეჩერო პულტი.

სახანძრო ჰიდრანტი, მოეწოს 41 მიერ განსაზღვრულ ადგილზე , პროექტით გათვალისწინებული სქემით.

პროექტში გამოყენებულია შავი ფოლადის უნაკერო მილები.

კანალიზაციის შიდა სისტემა ეწყობა პლასმასის სქელკედლიანი 110 იანი და 50 იანი მილებისგან. გარე სისტემაზე გამოყენებულია გოფრირებული SN-8 კლასის 110 და 160 იანი მილები.

ვერტიკალური მილები თავსდება შახტებში რომელიც -1 სართულზე ჭერის ნიშნულზე გადის გარე ტერიტორიაზე რომლის შემდეგ მილსადენი მიერთებულია შუალედურ საკანალიზაციო ჭაზე .

გარე პერიმეტრზე ეწყობა საკანალიზაციო ჭები რომლებიც აღჭურვილი იქნება თუჯის ხუფით და ჩასასვლელი კიბით. საკანალიზაციო სისტემა უნდა მიერთდეს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ცენტრალურ ჭაზე.

სანიაღვრე სისტემის შეგროვება ხდება რკინაბეტონის არხებით რომელიც ჩაედინება მიწის ქვეშ მოწყობილ სარეზერვო ბაკებში.

კანალიზაციის და სანიაღვრე სისტემის ჰორიზონტალური მონაკვეთები ეწყობა შემდეგი მინიმალური ქანობებით :

რეკომენდირებული : Ø160 - 0.01 , Ø110 - 0.02 , Ø75 - 0.02 , Ø50 - 0.035.

მინიმალური : Ø160 - 0.007 , Ø110 - 0.01 , Ø75 - 0.014 , Ø50 - 0.02.

თბილისი 2021 წ.